



# ექსტრემისტული ჯგუფების შეკრება-მანიფესტაციის ანგარიში

(სექტემბერი-დეკემბერი, 2021)

2022

აქციებზე დაკვირვების ანგარიში მოამზადა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა (DRI) პროექტის „ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის პრევენცია საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ. პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა მოხდეს მისი აღქმა დონორის ოფიციალურ მოსაზრებად.

## სარჩევი

შესავალი .....	3
მიგნებები.....	3
მეთოდოლოგია .....	5
პანდემიის დროს შეკრების თავისუფლების მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო.....	6
1. სიმულვილის ჯგუფების პოლიტიკურ პარტიებად რეგისტრაცია.....	7
პოლიტიკური ორგანიზაცია „ერი და სახელმწიფო“ .....	7
„კონსერვატიული მოძრაობა“ .....	8
2. 5-6 ივლისს ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში ბრალდებულ პირთა მხარდამჭერი აქციები .....	10
26 სექტემბრის აქცია.....	10
24 ნოემბრის აქცია .....	11
3. ანტივაქსერული აქციები.....	13
3.1. სამართალდამცავები .....	13
3.2. სასულიერო პირები .....	14
3.3 ანტივაქსერული აქციების აღწერილობითი ნაწილი .....	15
2021 წლის 15 სექტემბრის ანტივაქსერული აქცია .....	15
2021 წლის 5 ნოემბრის ანტივაქსერული აქცია .....	16
2021 წლის 20 ნოემბრის ანტივაქსერული აქცია.....	17
2021 წლის 28 ნოემბრის აქცია საზოგადოებრივ მაუწყებელთან .....	18
2021 წლის 5 დეკემბრის ანტივაქსერული აქცია .....	19
2021 წლის 7 დეკემბრის ანტივაქსერული აქცია .....	21
2021 წლის 12 დეკემბრის ანტივაქსერული აქცია.....	21
2021 წლის 26 დეკემბრის ანტივაქსერული აქცია .....	22

## შესავალი

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი 2020 წლიდან აკვირდება ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფების აქტიურობას აქციებსა და მანიფესტაციებზე. ანგარიში მოიცავს ულტრამემარჯვენე ჯგუფების შეკრება-მანიფესტაციებზე დაკვირვების შედეგებს 2021 წლის სექტემბრიდან 2021 წლის დეკემბრის ჩათვლით. საერთო ჯამში, გაანალიზებულია 12 შეკრებაზე დაკვირვების პროცესში გამოვლენილი ტენდენციები და გამოკვეთილია ძირითადი მიგნებები. ანგარიშის მიზანს წარმოადგენს ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფების გაძლიერებით გამოწვეული საფრთხეების შესახებ საზოგადოების ინფორმირება.

საქართველოში, ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფების პოლიტიკურ სუბიექტებად ტრანსფორმაციის ფონზე, დამატებითი მნიშვნელობა შეიძინა ონლაინ მედიამ. იდეოლოგიური პროპაგანდის და დეზინფორმაციის გავრცელების გარდა, სოციალური ქსელები მხარდამჭერთა მობილიზაციისა და საპროტესტო აქციების ორგანიზების კუთხით, ხელსაყრელი პლატფორმა აღმოჩნდა არაერთი ულტრამემარჯვენე ლიდერისთვის.

საანგარიშო პერიოდში ულტრამემარჯვენე ჯგუფები აქტიურად ცდილობდნენ საზოგადოებაში ანტივაქსერული განწყობების გაღვივებას და ამ იდეის პოპულარიზაციისთვის ორგანიზებულ საპროტესტო აქციებში მხარდამჭერთა მობილიზაციას. ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა აგრეთვე 5-6 ივლისის ძალადობრივ მოვლენებში ბრალდებულთა მხარდაჭერის საკითხიც. ულტრამემარჯვენე რიტორიკის ლიდერთა გამოსვლებში შეიმჩნეოდა ანტიდასავლური და ანტილიბერალური განწყობები. შემამოთხლებელ ტენდენციად გამოიკვეთა საპროტესტო აქციებზე ბავშვთა მაღალი ჩართულობა, კოვიდ რეგულაციებისა და უსაფრთხოების წესების სრული უგულებელყოფის ფონზე.

## მიგნებები

- 2021 წელს გამოიკვეთა ანტილიბერალური და ანტიდასავლური ულტრამემარჯვენე ძალების პოლიტიკურ სუბიექტებად ტრანსფორმაციის ტენდენცია. 2021 წლის 30 ოქტომბერს ზვიად ტომარამემ პოლიტიკური პარტიის „ერი და სახელმწიფოს“ შექმნის შესახებ განაცხადა; 2021 წლის 7 დეკემბერს „ალტ-ინფოს“ გუნდის ბაზაზე პოლიტიკური პარტია „კონსერვატორული მოძრაობა“ დარეგისტრირდა, რითაც გაიზარდა ანტილიბერალური, პრორუსული და ანტიდასავლური განწყობების მქონე ძალების პოლიტიკური ხილვადობა და ლეგიტიმაცია.
- ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფების შეკრება-მანიფესტაციებს სისტემატურობა და დისციპლინა ახასიათებს. ისინი თანმიმდევრულები არიან, რაც მათ ორგანიზებულობაში გამოიხატება. მათ აქვთ ყოველკვირეულ შეკრებებზე ასობით ადამიანის მობილიზების შესაძლებლობა; ტრანსპარანტების, პოსტერების, საინფორმაციო ბუკლეტების დამზადების ფინანსური რესურსი და სხვ.

- ანტილიბერალური და ანტიდასავლური ულტრამემარჯვენე ჯგუფების ორგანიზატორები მოქმედი ხელისუფლების ხისტი ოპონენტები არ არიან. მათ განცხადებებში მთავრობის მისამართით კრიტიკა ძირითადად უწყებათაშორისი საბჭოს ვაქცინაციაზე პასუხისმგებელი წევრების საქმიანობასთან დაკავშირებით ისმოდა.
- ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებზე შესამჩნევია სამართალდამცავებსა და ორგანიზატორებს შორის კოორდინირებული მოქმედება, ფამილარული კომუნიკაცია და პოზიტიური ურთიერთკავშირი.
- ულტრამემარჯვენე ჯგუფების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართ ნდობის შერყევია. შეკრება-მანიფესტაციების ერთ-ერთი ადრესატი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატია, რომელსაც ულტრამემარჯვენე ჯგუფები მკვეთრად ლიბერალურ და მიკერძოებულ საჯარო უწყებად განიხილავენ.
- საქართველოში ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ ორგანიზებული ანტივაქსერული შეკრება-მანიფესტაციები, ერთი მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივებას, ხოლო მეორე მხრივ, ზრდის ჯანდაცვის უწყებებისა და მედიცინისადმი უნდობლობას.
- ულტრამემარჯვენე საპროტესტო აქციებზე, ორგანიზატორთა შორის შეიმჩნევა ქალების სიმცირე. ამ აქციებზე დემონსტრანტთა უმრავლესობა შუა ხნის კაცები არიან. აქციებს ბავშვებიც ესწრებიან ოჯახის წევრებთან ერთად.
- საპროტესტო აქციებზე ულტრამემარჯვენე ლიდერების აგრესიული რიტორიკის სამიზნე არაერთხელ აღმოჩნდა ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი „ლიბერალური“ მედიასაშუალებები, დასავლური ინსტიტუტები, აშშ-ს საელჩო და ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში.
- ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებში სასულიერო პირებიც მონაწილეობენ, ძირითადად, რიგით დემონსტრანტებად. თუმცა, რამდენიმე შემთხვევაში, აქციის მონაწილეებს სასულიერო პირებმა სიტყვითაც მიმართეს.
- ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებზე დარღვეული იყო კოვიდ 19-ის გავრცელების პრევენციისთვის დაწესებული რეგულაციები. საანგარიშო პერიოდში გარე სივრცეში პირბადის ტარება სავალდებულო იყო. ასევე, გარე სივრცეში ბლანკეტურად მოქმედებდა 10-ზე მეტი ფიზიკური პირის თავშეყრის აკრძალვა. შეკრების მონაწილეები ძირითადად, არ იცავდნენ პირბადის გამოყენებასთან დაკავშირებით მოქმედ სავალდებულო რეგულაციებს, რაც ზრდიდა ვირუსის გავრცელების რისკებს, განსაკუთრებით დემონსტრაციებში ბავშვების მონაწილეობის გათვალისწინებით.

# მეთოდოლოგია

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის დამკვირვებლები ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ თბილისის მასშტაბით ორგანიზებულ 12 შეკრება/მანიფესტაციას დააკვირდნენ. წინამდებარე ანგარიში დაკვირვების შედეგად გამოვლენილ ძირითად ტენდენციებსა და მიგნებებს აერთიანებს. გარდა ამისა, აღწერს ულტრამემარჯვენე ლიდერების საპროტესტო რიტორიკის ძირითად მიმართულებებს.

დაკვირვება 2021 წლის სექტემბრიდან 2021 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს ფარავს და მასში თემატურად არის დაჯგუფებული ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციები: ვაქცინაციისა და „მწვანე პასპორტის“ საწინააღმდეგო აქციები; ულტრამემარჯვენე პოლიტიკური სუბიექტებად ტრანსფორმაციის პროცესი; 5-6 ივლისის ორგანიზებულ ძალადობაში მონაწილე ბრალდებულების მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის დამკვირვებლები ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ თბილისის მასშტაბით ორგანიზებულ ყველა შეკრებას დააკვირდნენ.

დაგეგმილი აქციების/კონტრაქციების შესახებ ინფორმაციას საჯარო წყაროებიდან ან სოციალური ქსელების საშუალებით ვიგებდით, რომელიც ულტრამემარჯვენე დაჯგუფებებისა და მათი ლიდერებისთვის ინფორმაციის გავრცელებისა და მხარდამჭერთა მობილიზაციისთვის ყველაზე მეტად გამოყენებად პლატფორმას წარმოადგენს.

კვლევის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ონლაინ მედია მონიტორინგი, რამაც შესაძლებლობა მოგვცა დროულად მოგვეძიებინა ინფორმაცია ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციების დროზე, შინაარსზე და ლოკაციაზე. დაკვირვების საწყის ეტაპზე შევიმუშავეთ შეკრებებისა და დემონსტრაციების მონიტორინგის სპეციალური ფორმა, რომლის დახმარებითაც აქციების/კონტრაქციების მიმდინარეობისას მნიშვნელოვანი ფაქტებისა და დარღვევების სისტემატიზაცია შევძელით. დაკვირვების პროცესში მონიტორინგის პირადი ანგარიშების გარდა, დიდი დახმარება გაგვიწია სხვადასხვა მედია პლატფორმებიდან მიღებულმა ფოტო და ვიდეო ინფორმაციამ.

დაკვირვების საწყის ეტაპზე შევიმუშავეთ შეკრებებისა და დემონსტრაციების მონიტორინგის სპეციალური ფორმა, რომლის დახმარებითაც აქციების/კონტრაქციების მიმდინარეობისას მნიშვნელოვანი ფაქტებისა და დარღვევების სისტემატიზაცია შევძელით.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის წესით გამოვითხოვეთ ინფორმაცია ანტივაქსერული აქციების ორგანიზატორების მიერ წარდგენილი შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების შესახებ გაფრთხილებების შესახებ.<sup>1</sup> მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოდან წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ პოლიტიკურ გაერთიანებას „ერი და სახელმწიფო“ მერიაში საანგარიშო პერიოდში გაფრთხილება არ წარუდგენია, ერთი შემთხვევის გარდა, როდესაც ორგანიზაციამ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გააფრთხილა მწვანე პასპორტების გაუქმების მოთხოვნით 2022 წლის 23 იანვარს დაგეგმილი საავტომობილო მსვლელობის შესახებ. ჩვენს

<sup>1</sup> ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 10 თებერვლის N 21/0122041278-01 განცხადების პასუხი.

ხელთ არსებული ინფორმაციით, აქცია არ ჩატარებულა. 1 კვირაში უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს 1 თებერვლის გადაწყვეტილებით,<sup>2</sup> სხვადასხვა ობიექტებში და დაწესებულებაში შესასვლელად საჭირო „მწვანე პასპორტები“ გაუქმდა.

პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, შეკრება-მანიფესტაციების მონიტორინგის ფარგლებში ყურადღება გავამახვილეთ:

- ხომ არ იყენებდნენ ულტრამემარჯვენე ჯგუფების ლიდერები ან შეკრების მონაწილეები სიძულვილის ენას
- რამდენად იცავდა პოლიცია საზოგადოებრივ წესრიგს საჯარო შეკრებებისა და დემონსტრაციების მიმდინარეობისას
- ხომ არ ქონდა ადგილი კონკრეტული პირების ან ჯგუფების მისამართით ძალადობრივ მოწოდებებს.

ანგარიშში ასევე გაანალიზებულია ულტრამემარჯვენე ჯგუფების საჯარო შეკრებებისა და მანიფესტაციების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებთან. ჩვენს ამოცანას ასევე წარმოადგენდა საკანონმდებლო ნორმებისა და ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფების მიერ ორგანიზებული მანიფესტაციების პრაქტიკული მხარეების ურთიერთ თავსებადობის დადგენა. გარდა ამისა, სამართლებრივ ჭრილში გავანალიზეთ სამართალდამცავთა მხრიდან, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ხარისხი საჯარო შეკრებებისა და დემონსტრაციების მიმდინარეობისას.

## პანდემიის დროს შეკრების თავისუფლების მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო

2021 წლის პირველ ნახევარში შეკრების უფლების რეალიზებაზე გავლენას ახდენდა პანდემიის საპასუხოდ დაწესებული შეზღუდვები.<sup>3</sup> 2021 წლის ივნისში გადაადგილებასთან დაკავშირებული შეზღუდვა მოიხსნა,<sup>4</sup> ხოლო სექტემბერში, პირებს, რომლებსაც პანდემიის გამო დაწესებული რეგულაციებისთვის ადმინისტრაციული ან/და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრათ, ამნისტია შეეხოთ.<sup>5</sup>

---

<sup>2</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება ძალაში შევიდა იმავე წლის 4 თებერვალს (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 თებერვლის დადგენილება №53).

<sup>3</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 241-244.

<sup>4</sup> საქართველოს მთავრობის 2021 წლის 22 ივნისის №294 დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მუხ. 1, პუნ. 1 და მუხ. 2.

<sup>5</sup> 2021 წლის 9 სექტემბრის საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ“ და 2021 წლის 7 სექტემბრის საქართველოს კანონი „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“.

გარე სივრცეში პირბადის ტარების ვალდებულება 2022 წლის 28 მარტიდან მოიხსნა<sup>6</sup>. თუმცა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეგულაცია მოქმედი იყო. ასევე, საანგარიშო პერიოდში, გარე სივრცეში ბლანკეტურად მოქმედებდა 10-ზე მეტი ფიზიკური პირის თავშეყრის აკრძალვაც.

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2022 წლის 28 თებერვლამდე 10-ზე მეტი ფიზიკური პირის ისეთი თავშეყრა იზღუდებოდა,<sup>7</sup> რომელიც დაკავშირებული იყო საზოგადოებაში დამკვიდრებულ სოციალურ (მაგ.: ქორწილი, ნებისმიერი იუბილე, ქელები და ა.შ.), მათ შორის, მასობრივ გასართობ ღონისძიებასთან. ძველი რედაქცია ჩანაცვლდა ახალი რედაქციით, რომლის მიხედვით, 2022 წლის 28 თებერვლიდან დასაშვები გახდა ფიზიკურ პირთა ისეთი თავშეყრა, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებაში დამკვიდრებულ სოციალურ (მაგ.: ქორწილი, ნებისმიერი იუბილე, ქელები და ა.შ.), მათ შორის, მასობრივ გასართობ ღონისძიებასთან.<sup>8</sup>

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში აღნიშნული შეზღუდვების მოქმედების საფუძველზე პასუხისმგებლობის არცერთი შემთხვევა არ დამდგარა.

## 1. სიძულვილის ჯგუფების პოლიტიკურ პარტიებად რეგისტრაცია

პოლიტიკური ორგანიზაცია „ერი და სახელმწიფო“

ულტრამემარჯვენე ჯგუფების შეკრება-მანიფესტაციების მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში ორი ულტრამემარჯვენე მოძრაობა, „ერი და სახელმწიფო“ და ე.წ. „ალტ-ინფოს გუნდი“ პოლიტიკურ პარტიებად გარდაიქმნა.

2021 წლის 30 ოქტომბრის დამფუძნებელ ყრილობაზე ა(ა)იპ „ერი და სახელმწიფომ“<sup>9</sup> საზოგადოებას პოლიტსაბჭოს შემადგენლობა წარუდგინა.<sup>10</sup> ყრილობაზე ზვიად ტომარაძემ თავის თანამოაზრეებთან ერთად სამომავლო პოლიტიკურ გეგმებსა და ხედვებზე ისაუბრა და

<sup>6</sup> მთავრობის დადგენილებაში ცვლილება ჯერ არ არის შესული. ბოლო ნახვა: 28/03/2022.

<sup>7</sup> საქართველოს მთავრობის 2021 წლის 22 ივნისის №294 დადგენილების „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლი (2022 წლის 22 თებერვლის რედაქცია).

<sup>8</sup> საქართველოს მთავრობის 2022 წლის 28 თებერვლის დადგენილება №91.

<sup>9</sup> 2018 წელს „ერი და სახელმწიფო“ (ს/კ: 402084105) დარეგისტრირდა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულად პირად. ორგანიზაციის თავმჯდომარე - ზვიად ტომარაძე.

<sup>10</sup> „ერი და სახელმწიფო“ 2022 წლის მარტის მდგომარეობით არ არის რეგისტრირებული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების ერთიან რეესტრში. საჯარო რეესტრმა პარტიის თავმჯდომარის ზვიად ტომარაძის 2011 წლის 4 მარტის განცხადება განუხილველად დატოვა. სამართლებრივ საფუძველს სარეგისტრაციო მონაცემებში დაშვებული ხარვეზის დადგენილ ვადაში გამოუსწორებლობას წარმოადგენს.

მხარდამჭერებს სამოქმედო გეგმაც წარუდგინა. ამავე შეხვედრაზე ყრილობამ სარევიზიო კომისიის შემადგენლობა აირჩია.

შეკრების ორგანიზატორები სიტყვით გამოსვლისას გაემიჯნნენ როგორც „ქართულ ოცნებას“, ისე ოპოზიციურ პარტიებს და საკუთარი თავი ახალი ეროვნული ფასეულობების მქონე პოლიტიკურ ძალად წარმოადგინეს. პარტიის თავმჯდომარემ ზვიად ტომარაძემ თავის „ერთადერთ ბატონად“ ღმერთი დაასახელა. „ერი და სახელმწიფოს“ ლიდერი ზვიად ტომარაძე გამოირჩევა რასისტული, ქსენოფობიური, ნაციონალისტური და ჰომოფობიური განცხადებებით. ის 2016 წლიდან დღემდე არის არაერთი რეგრესული საკანონმდებლო წინადადების ავტორი.<sup>11</sup>

შეკრების შესახებ ინფორმაცია, ჩატარებამდე 3 დღით ადრე გავრცელდა „ერი და სახელმწიფოს“ ლიდერების - ზვიად ტომარაძის და ირაკლი აბაშიძის პირად ფეისბუქგვერდებზე, ასევე, ულტრამემარჯვენე აქტივისტის ბექა ვარდოსანიძის ბლოგზე და „ერი და სახელმწიფოს“ ოფიციალურ ვებგვერდზე. შეკრება 9 აპრილის პარკში ჩატარდა. დამფუძნებელ ყრილობაზე, პოლიტიკური მოძრაობის ლიდერების მხრიდან შეიმჩნეოდა ნაციონალისტური და რელიგიურ-პოპულისტური განცხადებები.

პარტიის დაფუძნებას დაახლოებით 250-მდე მონაწილე ესწრებოდა, მათ შორის, 5 ბავშვი. შეკრების მონაწილეებისა და ორგანიზატორების უმრავლესობა არასწორად მოიხმარდა პირბადეს. შეკრების რამდენიმე მონაწილე აქტიურად იყო ჩართული ხალხის მობილიზების პროცესში. ისინი 9 აპრილის პარკში მყოფ დამსვენებლებს, რომლებიც შეკრებაში მონაწილეობას არ იღებდნენ, პარტიულ ბუკლეტებს ურიგებდნენ. შეკრებას დასაწყისში ესწრებოდა 2 პოლიციელი, რომლებმაც ხანმოკლე დროის შემდეგ დატოვეს ლოკაცია.

2022 წლის მარტის მდგომარეობით, „ერი და სახელმწიფო“ არ არის რეგისტრირებული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების ერთიან რეესტრში. საჯარო რეესტრმა პარტიის თავმჯდომარის ზვიად ტომარაძის 2021 წლის 4 ნოემბრის განცხადება განუხილველად დატოვა. სამართლებრივ საფუძველს სარეგისტრაციო მონაცემებში დაშვებული ხარვეზის დადგენილ ვადაში გამოუსწორებლობას წარმოადგენს.

### „კონსერვატიული მოძრაობა“

„ერი და სახელმწიფოს“ დაფუძნებიდან ერთთვიანი ინტერვალის შემდეგ, 2021 წლის 20 ნოემბერს, „ალტ-ინფოს“ გუნდმა პოლიტიკური პარტია „კონსერვატიული მოძრაობა“

---

<sup>11</sup> ზვიად ტომარაძის სახელს უკავშირდება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონიდან ტერმინების „გენდერული იდენტობისა“ და „სექსუალური ორიენტაციის“ ამოღების მცდელობა, აბორტის აკრძალვის შესახებ ინიციატივა, უცხოეთიდან დაფინანსებული NGO-ების აკრძალვის მცდელობა, რელიგიური გრძნობების შესახებ“ და საჯარო სივრცეში ჩადრით, ნიქაბით და ბურკით სიარულის აკრძალვის კანონპროექტების ავტორობა, უცხოელთათვის მოქალაქეობის მიღების პროცედურების გამკაცრების ინიციატივა და სხვ. ტომარაძე იყო ქორწინების შესახებ რეფერენდუმის საინიციატივო ჯგუფის წევრი. საინიციატივო ჯგუფის ინიციატივით, სარეფერენდუმო წინადადება შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: „თანახმა ხართ თუ არა, რომ სამოქალაქო ქორწინება განისაზღვროს, როგორც ოჯახის შექმნის მიზნით კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის?“



დააფუძნა.<sup>12</sup> „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერები 2021 წლის 5 ივლისის მასობრივი ძალადობის ორგანიზატორები არიან. თუმცა მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დრომდე არ დამდგარა. ერთადერთი სანქცია, რომელიც „ალტ-ინფო“ წინააღმდეგ გამოიყენეს, კომუნიკაციების კომისიის მიერ მისი სამართალდამრღვევად ცნობა იყო 5 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით მომზადებულ გადაცემებში უხამსობის ტირაჟირებისა და უცენზურო ლექსიკის გამოყენების გამო. თუმცა, კანონდარღვევის გამო „ალტ-ინფო“ არ დაჯარიმებულა.

დამფუძნებლებმა პარტიულ ყრილობაზე ღიად განაცხადეს „კონსერვატიული მოძრაობის“ პრორუსული და ანტიდასავლური საგარეო ვექტორის შესახებ. ზურა მახარაძემ პარტიის მიზნებად საქართველოში „ლიბერალური დიქტატურის“ დასრულება და „ქრისტიანული დემოკრატიის“ შექმნა დაასახელა. საგულისხმოა, რომ „ალტ-ინფო“ სარედაქციო პოლიტიკა გამოირჩევა ქსენოფობიური, ჰომოფობიური და ძალადობის წამახალისებელი რიტორიკით.<sup>13</sup>

საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „დაუშვებელია ისეთი პარტიის შექმნა და საქმიანობა, . . . რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს“.

მსგავსი შეზღუდვები მოქმედებს ევროპის საბჭოს არაერთ ქვეყანაში, რომლებიც „თავდაცვისუნარიანი დემოკრატიის“ უზრუნველყოფ მექანიზმებს ითვალისწინებს. „დემოკრატიის მტრებს არ უნდა მიეცეთ იმის საშუალება, რომ გამოიყენონ დემოკრატიით მინიჭებული უფლებები და თავისუფლებები მისთვის საფრთხის შესაქმნელად.“<sup>14</sup> უფლებების ბოროტად გამოყენებას კრძალავს ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ არსებული ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტებიც.<sup>15</sup>

2021 წლის 25 ნოემბერს საჯარო რეესტრმა კონსერვატიული მოძრაობის რეგისტრაცია შეაჩერა, ამის მიზეზად კი დოკუმენტაციის შევსების დროს დაშვებული შეცდომები დაასახელა. სავარაუდოდ, ხარვეზის გამოსწორების შემდეგ, 2021 წლის 7 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ „კონსერვატიული მოძრაობა“ პოლიტიკურ პარტიად დაარეგისტრირა.

<sup>12</sup> დამფუძნებელ ყრილობაზე პარტიის გენერალურ მდივნად გიორგი ქარდავა, თავმჯდომარედ კი ზურა მახარაძე აირჩიეს. პოლიტსაბჭოში შევიდნენ ირაკლი მარტინენკო და ირაკლი მორგოშია.

<sup>13</sup> DRI, 22.11.21, „საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ პოლიტიკური პარტია „კონსერვატიული მოძრაობა“ არ უნდა დაარეგისტრიროს“, ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/805/>

<sup>14</sup> რორი ოკონელი, *თავდაცვისუნარიანი დემოკრატია და ადამიანის უფლებათა პრინციპები*, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, I,102.

<sup>15</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხ. 29(2), 30; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხ. 17.

## 2. 5-6 ივლისის ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში ბრალდებულ პირთა მხარდამჭერი აქციები

### 26 სექტემბრის აქცია

26 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის შენობის წინ გამართული აქციის მიზანი 5 და 6 ივლისის ჟურნალისტებზე თავდასხმის ბრალდებით დაკავებული პირების გათავისუფლების მოთხოვნა იყო. აქციის ორგანიზატორები იყვნენ ულტრამემარჯვენე პრორუსული მედია პლატფორმის „ალტ-ინფოს“ დამფუძნებლები, ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტიის „ქართული იდეის“ თავმჯდომარე და ულტრამემარჯვენე რიტორიკით ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაციის „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ ლიდერები.<sup>16</sup>

აქციის მონაწილეთა რაოდენობა 150-ს არ აღემატებოდა და ამიტომ ტრანსპორტის სავალი ნაწილი არ გადაკეტილა. აქციას ასევე ესწრებოდა სამი ბავშვი და ორი სასულიერო პირი.

აქცია ჩატარებიდან 4 დღით ადრე პირადი ფეისბუქგვერდების საშუალებით დააანონსეს ალექსანდრე და გურამ ფალავანდიშვილებმა. ინფორმაცია აქციის შესახებ ასევე განთავსებული იყო „ქართული იდეის“, „ალტ ინფოს“ და „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ ფეისბუქგვერდებზე.

აქციის მონაწილეები 5-6 ივლისის ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობასთან დაკავშირებით დაკავებულ პირებს „სინდისის პატიმრებად“<sup>17</sup> და „ლიბერალური დიქტატურის მსხვერპლებად“ მოიხსენიებდნენ და მათ დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვდნენ. მიმართვების მთავარი ადრესატი „ქართული ოცნება“ იყო. ორგანიზატორების თქმით, ხელისუფლება „ლიბერალური“ და „დასავლური დიქტატურის“ ტყვეობაშია. აქციის ორგანიზატორებმა ლიბერალური მედიის პროვოკაციად მოიხსენიეს „ღირსების მარშის“ ჩატარების მცდელობა და ჟურნალისტებს დააკისრეს სრული პასუხისმგებლობა მათი „თანამომხმეების“ მიერ გამოხატულ აგრესიაზე.

აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და „ალტ-ინფოს“ დამფუძნებელმა ზურა მახარაძემ გამოსვლაში აღნიშნა, რომ 5 ივლისის მისი და მისი „თანამომხმეების“ მთავარი მიზანი იყო, არ დაემვათ „გარყვნილების პროპაგანდა“ რუსთაველის გამზირზე და სწორედ ქართველმა ხალხმა არ დაუშვა ამ „გარყვნილების ალუმის“ ჩატარება.

„ქართული იდეის“ ლიდერმა ლევან ჩაჩუამ კი განაცხადა, რომ „დაკავებული ბიჭები“ 5 ივლისის იცავდნენ რელიგიურ სიწმინდეს და ქართველობას. მან „ქართული ოცნების“ ყველაზე

<sup>16</sup> ზურა მახარაძე („ალტ-ინფოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი), გიორგი ქარდავა („ალტ-ინფოს“ დამფუძნებელი), კონსტანტინე მორგოშია („ალტ-ინფოს“ დამფუძნებელი), შოთა მარტინენკო („ალტ-ინფოს“ დამფუძნებელი), ალექსანდრე ფალავანდიშვილი („ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ ერთ-ერთი ლიდერი), გურამ ფალავანდიშვილი („ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ თავმჯდომარე), ლევან ჩაჩუა („ქართული იდეის“ თავმჯდომარე).

<sup>17</sup> აღსანიშნავია, რომ სასამართლო სხდომებზე დაცვის მხარე სწორედ ამ ტერმინს იყენებს აქტიურად.

დიდ სირცხვილად დაასახელა მათი „თანამებრძოლების“ დაკავება და აღნიშნული ფაქტი „ეროვნული ლაქად“ შეაფასა.

აქციის ორგანიზატორები სიტყვით გამოსვლისას იყენებდნენ ჰომოფობიურ ენას („გარყვნილების პროპაგანდა“, „მამათმავლური აღლუმი“, „სიბილწის მარში“ და ა.შ).

აქციის მონაწილეების და ორგანიზატორთა სრული უმრავლესობა არასწორად მოიხმარდა პირბადეს. ასევე, აქციის მონაწილეებს შორის გონივრული დისტანციაც დარღვეული იყო.

## 24 ნოემბრის აქცია

2021 წლის 24 ნოემბრის აქცია 5 ივლისს „თბილისი პრაიდის“ ოფისში შეჭრაში ბრალდებული სამი პირის პატიმრობის გირაოთი შეცვლის პერიოდს ემთხვევა. აქცია საქართველოს სახალხო დამცველის ოფისთან ჩატარდა. აქციის მონაწილეები სახალხო დამცველს მოუწოდებდნენ 5-6 ივლისის ორგანიზებული ჯგუფური ძალადობის საქმეებზე პატიმრობაში მყოფი პირები დაეცვა.

აქციის ორგანიზატორები იყვნენ „ალტ-ინფოს“ ბაზაზე დაფუძნებული ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტიის „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერები: ზურა მახარაძე, კონსტანტინე მორგოშია, შოთა მარტინენკო და გიორგი ქარდავა. ორგანიზატორებს მხარდაჭერა გამოუცხადა და აქცია პირდაპირ ეთერში საკუთარ ბლოგზე გააშუქა ულტრამემარჯვენე განწყობებით ცნობილმა აქტივისტმა ბექა ვარდოსანიძემ.

აქციის შესახებ ინფორმაცია ერთი კვირით ადრე განთავსდა ორგანიზატორთა პირად ფესიბუქგვერდებზე, აგრეთვე, „ალტ-ინფოს“ და ბექა ვარდოსანიძის ონლაინ მედია პლატფორმებზე.

შეკრების მონაწილეები ძირითადად 5 და 6 ივლისს დაკავებული პირების ნათესავები და მათი ადვოკატები იყვნენ. აქციის მონაწილეთა რაოდენობა 300-მდე მერყეობდა. შეკრების ადგილის სივიწროვის გამო და დემონსტრანტთა რაოდენობიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა ტრანსპორტის სავალი ნაწილის დროებით გადაკეცვა.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დაკვირვებით, აქციაზე, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისთან, 60-მდე სამართალდამცავი იყო მობილიზებული.

შეკრების მონაწილეებს ეკავათ პოსტერები ჰომოფობიური გზავნილებითა და წარწერებით: „არა ევროპის სოდომისტურ სასამართლოს“, „უარი გარყვნილების პროპაგანდას“, „თავისუფლება სინდისის პატიმრებს“. პლაკატებზე გამოსახული იყო სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას, აშშ ელჩის კელი დეგნანის და ევროკავშირის წარმომადგენლობის ელჩის კარლ ჰარცელის პორტრეტები. ისინი მოხსენიებულნი იყვნენ „ლგბტ ზონდერებად“ და „ლგბტ ფამისტებად“. აქციის მონაწილეებს ჰქონდათ საყვირები და პარტიული დროშები.

აქციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა დეკანოზმა სპირიდონ ცქიფურიშვილმა. მისი განცხადებით, „სახალხო დამცველის ფუნქცია უკვე დასრულებული და წარსულია. [...] ლიბერალიზმის დრო დასრულდა და ის უკვე კვდება“.

აქციის ორგანიზატორთა გამოსვლები ძირითადად მკვეთრად ანტიდასავლური და ჰომოფობიური იყო. ზურა მახარაძემ დემონსტრანტებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „5-ში ჩვეულებრივმა ადამიანებმა მოვახერხეთ და შევინარჩუნეთ ჩვენი ქვეყნის ღირსება, შევუნარჩუნეთ ქვეყანას ნამუსი. ბიჭები, რომლებიც დაკავებული არიან, დაკავებულები არიან იმისთვის, რომ საკუთარ ქვეყანაში, ქაშვეთის ეზოში არ დაუშვეს საკუთარი სამშობლოს ღირსების შეურაცხყოფა“.

ორგანიზატორთა აგრესიის სამიზნე „ლიბერალური მედიაც“ იყო, რომელიც, ორგანიზატორების შეფასებით, 5 ივლისის მოვლენების მთავარი დამნაშავეა. ულტრამემარჯვენე ძალების წარმომადგენლებმა ამ დღეს ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტები ლიბერალური ძალების წინასწარ დაგეგმილ პროვოკაციად შეაფასეს.

აქციის ორგანიზატორთა აქტიურმა მხარდამჭერმა ბექა ვარდოსანიძემ საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტს ქეთი თუთბერიძეს პროფესიული საქმიანობის თავისუფლად შესრულების შესაძლებლობა არ მისცა. ვარდოსანიძემ აქციის მონაწილეებთან ერთად ჟურნალისტი ალყაში მოაქცია და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ბექა ვარდოსანიძე ჟურნალისტს დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებდა.<sup>18</sup> სამართალდამცავებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტისთვის ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის ინციდენტი ადგილზე არ აღუკვეთავთ და არც შემდგომი რეაგირება ჰქონიათ. შსს-მ სისხლისსამართლებრივი გამოძიება მხოლოდ ქეთი თუთბერიძის განცხადების საფუძველზე დაიწყო. 2022 წლის მარტის მდგომარეობით, ჟურნალისტისგან მიღებული ინფორმაციით, გამოძიება არაეფექტიანად მიმდინარეობს.

ბექა ვარდოსანიძის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, რომლის შესახებაც, მოგვიანებით, მედიის საშუალებით გახდა ცნობილი, იმავე დღის შემთხვევას უკავშირდება, როდესაც ვარდოსანიძემ სავარაუდოდ, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციელს. თბილისის საქალაქო სასამართლომ ვარდოსანიძე სამართალდამრღვევად ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე და სანქციად 2 000 ლარიანი ჯარიმა განუსაზღვრა.

აქციის მონაწილეების და ორგანიზატორების მხრიდან უგულბეზღყოფილი იყო კოვიდ რეგულაციებიდან გამომდინარე პირბადის გამოყენების ვალდებულება.

---

<sup>18</sup> „ადვოკატის ცნობით, დაკავებულია ბექა ვარდოსანიძე“, რადიო თავისუფლება, 31 დეკემბერი 2021. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/387huHz>

### 3. ანტივაქსერული აქციები

საანგარიშო პერიოდში, ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფები გეგმავდნენ და წარმატებით ახორციელებდნენ საინფორმაციო კამპანიას ვაქცინაციის წინააღმდეგ. 2021 წლის 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ულტრამემარჯვენე ჯგუფის „ერი და სახელმწიფოს“ ლიდერმა ზვიად ტომარაძემ თანამოაზრეებთან ერთად 8 შეკრება-მანიფესტაცია ჩაატარა ვაქცინაციის წინააღმდეგ. ანტივაქსერული აქციები, როგორც წესი, ჩატარებამდე რამდენიმე დღით ადრე, სოციალური ქსელის ფეისბუქის გამოყენებით ორგანიზდებოდა.<sup>19</sup>

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენლები რვავე აქციას დააკვირდნენ. თითოეული ანტივაქსერული აქციის მონიტორინგი მიმდინარეობდა სპეციალური კითხვარის გამოყენებით.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლების შეფასებით, ანტივაქსერული შეკრებების მონაწილეთა რაოდენობა 100-დან 800-მდე მერყეობდა. აქციების მიხედვით, შეკრების მონაწილეთა დაახლოებითი რაოდენობა შემდეგნაირი იყო: 15 სექტემბერს - 200 ადამიანი, 5 ნოემბერს - 170, 20 ნოემბრის 350, 28 ნოემბერს - 800, 5 დეკემბერს - 700, 7 დეკემბერს - 100-მდე ადამიანი, 12 დეკემბერს - 150, ხოლო 26 დეკემბერს - 200.

აქციის მონაწილეთა ნახევარს ქალები შეადგენდნენ. აქციებს, როგორც წესი, ესწრებოდნენ სასულიერო პირებიც (სულ მცირე, 4-5). დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დაკვირვებით, ყოველ აქციას 10-მდე არასრულწლოვანი ესწრებოდა.

#### 3.1. სამართალდამცავები

ვაქცინაციის წინააღმდეგ გამართულ აქციებზე, საშუალოდ, 50-მდე სამართალდამცავი იყო მობილიზებული. დაკვირვებამ აჩვენა, რომ როგორც წესი, პოლიციელთა რაოდენობა აქციის მონაწილეთა რაოდენობის პროპორციული არ იყო.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლების შეფასებით, 15 სექტემბერს გამართულ აქციაზე 60-მდე პოლიციელი იყო მობილიზებული; 5 ნოემბერს დაახლოებით 80; 20 ნოემბერს - 50-მდე; 28 ნოემბერს, როდესაც აქციაში დაახლოებით 800-მდე ადამიანი მონაწილეობდა, აქციაზე სულ 50-მდე პოლიციელი იყო მობილიზებული; 5 დეკემბერს მათი რიცხვი 60-მდე გაიზარდა; 7 დეკემბრის აქციაზე 50 სამართალდამცველი იყო; 12 დეკემბერს - 30-მდე; ხოლო 26 დეკემბერს დაახლოებით 45 პოლიციელი იყო მობილიზებული. რაც შეეხება საპატრულო ეკიპაჟებს, 15 სექტემბერს - 10, 5 ნოემბერს - 10, 20 ნოემბერს - 6, 28 ნოემბერს - 7, 5 დეკემბერს - 9, 7 დეკემბერს - 6, 12 დეკემბერს - 3, 26 დეკემბერს კი 6 საპატრულო მანქანა პატრულირებდა აქციის მიმდებარე ტერიტორიაზე.

---

<sup>19</sup> 15 მარტის აქციის შესახებ ინფორმაცია ზვიად ტომარაძის პირად ფეისბუქგვერდის, ბექა ვარდოსანიძის ფეისბუქბლოგისა და „ქვეყნის მტრების წინააღმდეგ“ ფეისბუქჯგუფის მეშვეობით გავრცელდა.

სამართალდამცავები ყველაზე დიდი რაოდენობით იყვნენ მობილიზებული 5 ნოემბრის აქციაზე სახელმწიფო ცერემონიების სასახლესთან (საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი ოფიციალური რეზიდენცია).

ასევე მრავალრიცხოვანი იყო პოლიციელების და საპატრულო ეკიპაჟების რაოდენობა 5 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოსთან გამართულ აქციაზე.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლებმა შენიშნეს პრივატული სატელეფონო საუბრები ორგანიზატორებსა და სამართალდამცავებს შორის. ზვიად ტომარაძის ფამილარულ მიმართევებში პოლიციელების მიმართ ხაზგასმული იყო დადებითი დამოკიდებულება. ზვიად ტომარაძემ საჯაროდ არაერთხელ განაცხადა, რომ პოლიციის თანამშრომლები მათ მოთხოვნებს მხარს უჭერდნენ. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ აქციის ორგანიზატორებსა და სამართალდამცავებს შორის ლოიალური დამოკიდებულება ორმხრივი იყო.

აქციების მიმდინარეობისას 8 აქციიდან 4 შემთხვევაში გზა მონაწილეთა რაოდენობის გამო გადაიკეტა (და არა მერიის მუნიციპალიტეტში წარდგენილი გაფრთხილების საფუძველზე). „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ტრანსპორტის სავალ ადგილას იმართება ან ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს. თუმცა, აბსოლუტურად ყველა შემთხვევაში, აქციის ორგანიზატორებმა შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით, ტრანსპორტის სავალი გზის გადაკეტვის საკანონმდებლო გამონაკლისით<sup>20</sup> ისარგებლეს.

12 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შენობის წინ გამართულ აქციაზე, აქციის ორგანიზატორებმა „მწვანე პასპორტის“ გამოსახულებიანი პლაკატი დაწვეს. ნიშანდობლივია, რომ სამართალდამცავებს ამაზე რეაქცია არ ჰქონიათ, მაშინ, როდესაც, სამოქალაქო აქტივისტების მიერ ორგანიზებულ შეკრება-მანიფესტაციებზე პოლიციელების მხრიდან განსხვავებული მოპყრობის არაერთი მაგალითი არსებობს.<sup>21</sup>

### 3.2. სასულიერო პირები

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დაკვირვებით, სასულიერო პირები ყველა ანტივაქსერულ აქციას ესწრებოდნენ. რამდენიმე შემთხვევაში მათ სიტყვით მიმართეს

<sup>20</sup> საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ მე-11 (პრიმა) მუხლი.

<sup>21</sup> მაგალითად, 2020 წლის 9 ნოემბერს და 2 დეკემბერს, სამოქალაქო აქტივისტებს, რომლებიც პარლამენტის შენობის წინ აქციას მართავდნენ, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა ადგილზე შეშის შეტანის შესაძლებლობა არ მისცეს, იმ მოსაზრებით, რომ შეშის აალება შეიძლებოდა. ასევე, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020 წელი. გვ. 244-247, ხელმისაწვდომია - <https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>

შეკრების მონაწილეებს. ნიშანდობლივია, რომ ანტივაქსერული საპროტესტო აქციების ერთ-ერთი ადრესატი საქართველოს საპატრიარქოც იყო.

15 სექტემბრის აქციაზე აქციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა და ორგანიზატორებს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა სასულიერო პირმა ირაკლი აბაშიძემ, რომელსაც სინოდის გადაწყვეტილებით 2013 წლიდან დროებით შეჩერებული აქვს ღვთისმსახურების უფლება. სიტყვით გამოსვლისას ირაკლი აბაშიძემ ვაქცინაციის სავალდებულოება „ფაშისტურ მიდგომას“ შეადარა და განაცხადა, რომ ვაქცინაციის პროპაგანდა და ადამიანების დაშინება დაუშვებელი იყო. ირაკლი აბაშიძე სისტემატურად იღებდა მონაწილეობას ანტივაქსერულ აქციებში.

### 3.3 ანტივაქსერული აქციების აღწერილობითი ნაწილი

საანგარიშო პერიოდში გამართული ყველა ანტივაქსერული შეკრება-მანიფესტაციის ორგანიზატორები „ერი და სახელმწიფოს“<sup>22</sup> თავმჯდომარე ზვიად ტომარაძე და პარტიის სხვა ლიდერები იყვნენ. აქციების გაშუქებას უზრუნველყოფდა მკვეთრად ანტილიბერალური განცხადებებით ცნობილი ბლოგერი ბექა ვარდოსანიძე.

#### 2021 წლის 15 სექტემბრის ანტივაქსერული აქცია

ინფორმაცია 15 სექტემბრის აქციის შესახებ სამი დღით ადრე გავრცელდა ზვიად ტომარაძის პირად ფეისბუქგვერდზე და ფეისბუქჯგუფში „ქვეყნის მტრების წინააღმდეგ.“

აქციის მთავარი მოთხოვნა იძულებითი ვაქცინაციის დაუშვებლობა, ამირან გამყრელიძისა და პაატა იმნაძის საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოდან გარიცხვა კოვიდ დიქტატურის დამყარების მცდელობისთვის და „კოვიდ დიქტატურის მხარდამჭერი“ საქართველოს სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას თანამდებობიდან გადაყენება იყო.

ანტივაქსერული აქციების შეკრებების ძირითად ადგილს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შენობის წინ მდებარე ტერიტორია წარმოადგენდა. 15 სექტემბრის აქციაც მთავრობის ადმინისტრაციის შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან დაიწყო, რომელსაც 200-მდე დემონსტრანტი ესწრებოდა. მანიფესტაცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ სათავე ოფისთან გაგრძელდა და საქართველოს საპატრიარქოსთან საერთო ლოცვით დასრულდა.

იმ ფონზე, როდესაც აქციის ძირითად მოთხოვნას ბავშვების კოვიდისგან დაცვა და მათი ვაქცინაციის პროცესისგან გამორიცხვა წარმოადგენდა, აქციაზე არაერთი ბავშვი იყო.

---

<sup>22</sup> 2021 წლის 30 ოქტომბერს მოძრაობა პოლიტიკურ პარტიად გარდაიქმნა, მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ წინამდებარე ანგარიშის მე-2 თავი.

მიუხედავად ამისა, აქციის მონაწილეთა უმრავლესობას არასწორად ეკეთა პირბადე და დარღვეული იყო სავალდებულო დისტანცია.

15 სექტემბრის აქციაზე სოსო მანჯავიძემ გაეროს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას მიმართ არაერთი კრიტიკული განცხადება გააქვლერა:

*„ამ კოვიდ დიქტატურის დამყარებას ხელისუფლებას სთხოვს ჯანმო და ახლა უკვე თავხედურად ალაპარაკდნენ ბავშვების ვაქცინაციაზე, რაც დაუშვებელია.“*

„კოვიდფაშიზმის“ დამყარებაში მთავარ „დამნაშავედ“ ბექა ვარდოსანიძემ პროდასავლური მედია დაასახელა:

*„საქართველოში მედიების მხრიდან ადგილი აქვს არაერთი დეზინფორმაციის გავრცელებას აცრების ვარგისიანობასთან დაკავშირებით. მედია სტატისტიკას კოვიდ ვირუსით გარდაცვალებასთან დაკავშირებით ავრცელებს საზოგადოებაში შიშის დანერგვის მიზნით.“*

აქციის მონაწილეებს ტრანსპორტის სავალი ნაწილი არ გადაუკეტავთ. შესაბამისად, ორგანიზატორებს არ ჰქონდათ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის ვალდებულება.

თავდაპირველად (მთავრობის ადმინისტრაციის შენობის მიმდებარე ტერიტორია) აქციაზე, რომელსაც 150-მდე დემონსტრანტი ესწრებოდა, პოლიციის 30-მდე თანამშრომელი იყო მობილიზებული. „ქართული ოცნების“ სათავე ოფისის წინ მდებარე ტერიტორია კი, სადაც შეკრებილთა რაოდენობა 200-მდე გაიზარდა, 60-მდე საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მიერ კონტროლდებოდა.

## 2021 წლის 5 ნოემბრის ანტივაქსერული აქცია

ორგანიზატორების განცხადებით, 5 ნოემბრის ანტივაქსერული აქციის ჩატარების მიზეზი საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის 3 ნოემბრის ბრიფინგზე გაკეთებული განცხადება იყო.<sup>23</sup> ბრიფინგზე პრეზიდენტმა სავალდებულო ვაქცინაციის მნიშვნელობაზე, კოვიდპასპორტების შემოღების და აუცრელი პირებისთვის გარკვეული შეზღუდვების დაწესების აუცილებლობაზე შესახებ განაცხადა.

აქცია პრეზიდენტის ბრიფინგის საპასუხოდ დაიგეგმა. მისი ჩატარების შესახებ ინფორმაცია ორგანიზატორთა პირადი ფეისბუქგვერდების საშუალებით, აქციამდე ერთი დღით ადრე გავრცელდა. დემონსტრაცია პრეზიდენტის ათონელის სასახლიდან დაიწყო და სახელმწიფო ცერემონიების სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დასრულდა. შეკრებას საწყის ლოკაციაზე 130, ხოლო საბოლოო ლოკაციაზე 70-მდე დემონსტრანტი ესწრებოდა.

<sup>23</sup> CIVIL.GE, 4 ნოემბერი, 2021, *პრეზიდენტი კოვიდ პასპორტებსა და რისკგუფებისთვის სავალდებულო აცრაზე საუბრობს*, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/452944>



საქართველოს პრეზიდენტის დიპლომატიურ მისიებთან შეხვედრის შესახებ აქციის მსვლელობისას გახდა ცნობილი. პრეზიდენტთან პირადად შეხვედრის მოტივით, ორგანიზატორების მოწოდების შემდეგ, აქციის მონაწილეებმა ავლაბარში, სახელმწიფო ცერემონიების სასახლისკენ გადაინაცვლეს.

აქციის ორგანიზატორები იყვნენ პ/გ „ერი და სახელმწიფოს“ თავმჯდომარე ზვიად ტომარაძე, მისი გენერალური მდივანი ირაკლი აბაშიძე, პოლიტსაბჭოს წევრი ნიკოლოზ ხომასურიძე და ულტრამემარჯვენე აქტივისტი და ბლოგერი ბექა ვარდოსანიძე.

ზვიად ტომარაძემ სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტის მიერ საპატრიარქოს ვაქცინაციის პროცესში გააქტიურებისკენ მოწოდება გააპროტესტა და სავალდებულო ვაქცინაციის კურთხევისა და აუცრელთა დისკრიმინაციის დაკანონების მოთხოვნად შეაფასა. ზვიად ტომარაძეს განცხადებით, მან ბოიკოტი გამოუცხადა „ვისოლისა“ და „კოკა-კოლას“ კომპანიების ხელმძღვანელებს და დემონსტრანტებსაც მოუწოდა „ბოიკოტირების“ მხარდაჭერისკენ, რადგან ორივე კომპანიამ თანამშრომლების სრული ვაქცინაციის შესახებ განაცხადა.

ირაკლი აბაშიძემ პრეზიდენტის ბრიფინგი შეაფასა არაკონსტიტუციური ნორმებისა და კოვიდ დიქტატურის დაკანონებად და სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტის თანამდებობის დატოვებისკენ მოუწოდა.

აქციის მონაწილეების და ორგანიზატორთა სრული უმრავლესობა არასწორად მოიხმარდა პირბადეს.

პრეზიდენტის სასახლის შენობის წინ და მიმდებარე ტერიტორიაზე მობილიზებული იყო 40-მდე საპატრულო პოლიციის თანამშრომელი, ხოლო სახელმწიფო ცერემონიების სასახლესთან - 80-მდე. ორგანიზატორებსა და პოლიციას შორის, ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, იგრძნობოდა პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება და სრული ურთიერთგაგება.

იქიდან გამომდინარე, რომ ტრანსპორტის სავალი ნაწილი გადაკეტილი არ იყო, ორგანიზატორებს არ ჰქონდათ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის ვალდებულება.

## 2021 წლის 20 ნოემბრის ანტივაქსერული აქცია

20 ნოემბრის აქცია მთავრობის გადაწყვეტილების<sup>24</sup> გასაპროტესტებლად დაიგეგმა, რომლის მიხედვითაც, 2021 წლის 1 დეკემბრიდან მთელ რიგ ობიექტებში შესვლა მხოლოდ ე.წ. კოვიდ პასპორტების<sup>25</sup> საფუძველზე იქნებოდა შესაძლებელი. შესაბამისად, აქციის მთავარი

<sup>24</sup> საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება კანონში ცვლილების შეტანამდე რამდენიმე დღით ადრე დაანონსდა, ხოლო ცვლილება 2021 წლის 1 დეკემბერს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 ნოემბრის N562 დადგენილებაში შევიდა.

<sup>25</sup> 1 დეკემბრიდან საქართველოში მცხოვრებ ყველა სრულწლოვან პირს მხოლოდ მწვანე სტატუსის ქონის შემთხვევაში შეეძლო შემდეგი ობიექტების შიდა სივრცით სარგებლობა: სასტუმროები და განთავსების სხვა ობიექტები, კვების ობიექტები (რესტორნების, კაფეების, ბარების ღია და დახურული სივრცეები - მათ შორის, სავაჭრო ცენტრებში არსებული), კინოთეატრები, თეატრები, საკონცერტო

მოთხოვნა სავალდებულო ვაქცინაციის დაუშვებლობა, ბავშვთა ვაქცინაციისა და კოვიდ (მწვანე) პასპორტების შემოღების აკრძალვა იყო.

აქციის მონაწილეთა შეკრების ადგილს წარმოადგენდა პირველი რესპუბლიკის მოედანი. დემონსტრანტები მსვლელობით გაემართნენ საქართველოს პარლამენტის შენობისკენ. საწყის ეტაპზე (პირველი რესპუბლიკის მოედანზე) აქციაზე 300-მდე ადამიანი იყო. მსვლელობის პროცესში მათი რიცხვი 350-მდე გაიზარდა.

აქციის მსვლელობისას ორგანიზატორებმა, დემონსტრანტებს განუცხადეს, რომ აქტიურად მუშაობდნენ პეტიციის შექმნაზე, კოვიდ (მწვანე) პასპორტის მოქმედებასთან დაკავშირებით, მოსახლეობის აზრის დასაფიქსირებლად.

აქციის მონაწილეების უმრავლესობას არ ეკეთა ან არასწორად მოიხმარდა პირბადეს. აქციის მონაწილეები ასევე არ იცავდნენ დისტანციას.

აქციის ორგანიზატორმა სოსო მანჯავიძემ განაცხადა:

*„ამ აქციების ფონზე, ხელისუფლებამ უნდა გაიგოს ხალხის მოწოდება, რომ კოვიდ პასპორტები და სავალდებულო ვაქცინაცია გამოიწვევს ეკონომიკურ კოლაფსს და მცირე ბიზნესის სრულ განადგურებას.“*

მედიისადმი კრიტიკული განცხადებებით გამოირჩეოდა აქციის ორგანიზატორი ბექა ვარდოსანიძე:

*„კოვიდ ვირუსთან დაკავშირებით ლიბერალური მედია ავრცელებს დეზინფორმაციებს, მალავს სიმართლეს და ისინი კანონის წინაშე უნდა დაისჯონ“.*

ზვიად ტომარაძემ მცირე პერფორმანსითა და ფერადი კვამლის ფონზე „ტოპ-კოვიდ ფაშისტად“ ამირან გამყრელიძე დაასახელა. მისი განცხადებით, „ერთადერთი ბატონი, ვისაც ქართველი ხალხი ემორჩილება, არის უფალი“ და სხვის მონობას არ შეეგუებინ.

მსვლელობის მიმდინარეობას საპატრულო პოლიციის 30-მდე წარმომადგენელი მიაცილებდა. პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა საპატრულო პოლიციის 50-მდე წარმომადგენელი.

2021 წლის 28 ნოემბრის აქცია საზოგადოებრივ მაუწყებელთან

28 ნოემბრის აქციის ჩატარების ძირითადი მიზანი საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკის და მათი აქციების პირდაპირ ეთერში არგამუქების შესახებ პროტესტი იყო.

---

დარბაზები, ოპერა, გასართობი ობიექტები, სამორინეები და სათამაშო ბიზნეს ობიექტები, სპა ცენტრები და ფიტნეს დარბაზები, სამთო კურორტების საბაგროები. დეტალურად იხილეთ: <https://covidpass.moh.gov.ge/>

აქციაზე ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ „კოვიდ რეგულაციებისა“ და „კოვიდ პასპორტების“ წინააღმდეგ საკანონმდებლო ბრძოლას დაიწყებდნენ.

აქციის მონაწილეები პირველი რესპუბლიკის მოედანზე შეიკრიბნენ და მსვლელობით გაემართნენ საქართველოს პარლამენტის შენობისკენ. მანიფესტაციის საბოლოო დანიშნულების ადგილი საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობა იყო. საწყის ეტაპზე, პირველი რესპუბლიკის მოედანზე, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლების შეფასებით, 700-მდე დემონსტრანტი იყო მობილიზებული. მსვლელობის პროცესში, მათი რიცხვი 800-მდე გაიზარდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობასთან კი, აქციის მონაწილეთა რიცხვი 300-მდე შემცირდა.

აქციას „ერი და სახელმწიფოს“ თავმჯდომარე ზვიად ტომარაძე, ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი აბაშიძე, ულტრამემარჯვენე ფლანგის აქტივისტი და ბლოგერი ბექა ვარდოსანიძე და ულტრამემარჯვენე ძალების აქტიური მხარდამჭერი და პოლიტოლოგი სოსო მანჯავიძე ხელმძღვანელობდნენ. ორგანიზატორთა გუნდს შეუერთდა აგრეთვე ანტივაქსერული განწყობებით ცნობილი, რუსეთის ფედერაციაში მოღვაწე მომდერალი ირაკლი ფირცხალავა.

აქციაზე გამომსვლელები ხაზს უსვამდნენ ვაქცინაციის სავალდებულობის დაუშვებლობას. აქციის მონაწილეების სრულ უმრავლესობას ისევ არ ეკეთა ან არასწორად მოიხმარდა პირბადეს.

ორგანიზატორები 2021 წლის 1 დეკემბერს „კოვიდ პასპორტების“ რეგულაციის ამოქმედებასთან დაკავშირებით ღიად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას და ხელისუფლებისგან აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვდნენ. ბექა ვარდოსანიძემ საზოგადოებრივი მაუწყებლისგან მათი აქციების პირდაპირ ეთერში გაშუქება მოითხოვა.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლების შეფასებით, პირველი რესპუბლიკის მოედანზე მობილიზებული იყო 30-მდე, ხოლო პარლამენტის შენობის წინ 50-მდე სამართალდამცავი. დამატებით ძალად საპატრულო მანქანები იყო მობილიზებული. საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობის შესასვლელს სამართალდამცავთა ცოცხალი ჯაჭვი იცავდა, თუმცა სიტყვიერ დაპირისპირებას დემონსტრანტებსა და სამართალდამცავებს შორის ადგილი არ ჰქონია. საგულისხმოა, რომ წინა აქციებისგან განსხვავებით, გაორმაგებული იყო როგორც აქციის მონაწილეების, ასევე სამართალდამცავების რიცხვი.

აქციის მონაწილეების რაოდენობიდან გამომდინარე, ჩაიკეტა სამანქანო გზა რესპუბლიკის მოედნიდან საქართველოს პარლამენტის მიმართულებით. საახალწლო ინფრასტრუქტურის სამონტაჟო საქმიანობების გამო პარლამენტის წინ ტერიტორიაზე გზის გადაკეტვის გარეშე დემონსტრანტთა განთავსება შეუძლებელი იქნებოდა.

2021 წლის 5 დეკემბრის ანტივაქსერული აქცია

5 დეკემბრის აქცია-მსვლელობა პირველი რესპუბლიკის მოედნიდან დაიწყო, საქართველოს პარლამენტის შენობასთან გაგრძელდა და საქართველოს საპატრიარქოს შენობასთან დასრულდა. აქციის ლიდერები ხელისუფლებისგან მწვანე პასპორტების გაუქმებას, ხოლო საპატრიარქოს წარმომადგენლებისგან მკაფიო პოზიციის დაფიქსირებას მოითხოვდნენ.

პარლამენტის შენობის წინ შეკრებილი მონაწილეები სკანდირებდნენ „დასრულდეს კოვიდ დიქტატურა!“, „ჩვენ არ გვინდა კოვიდ პასპორტები!“ და „ნუ გვიწესებთ კოვიდ რეგულაციებს!“.

აქციას, პირველი რესპუბლიკის მოედანზე ესწრებოდა 650 დემონსტრანტი, რომელთა რიცხვი პარლამენტთან მსვლელობის პროცესში 700-მდე გაიზარდა, ხოლო საბოლოო ლოკაციაზე, საპატრიარქოს შენობის წინ, 400-მდე შემცირდა.

აქციის მონაწილეებმა საპატრიარქოს შენობის წინ ლოცვა აღავლინეს და საპატრიარქოს საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისკენ მოუწოდეს. დემონსტრანტთა ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამდა საპატრიარქოს წარმომადგენლების მხრიდან მათთან შეხვედრაზე უარის თქმის გამო. განსაკუთრებულად ნეგატიური დამოკიდებულება გამოიწვია საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელის ფეისბუქპოსტმა.<sup>26</sup> აქციის მონაწილეებმა განცხადება ლალატად და „ბრძოლის ველიდან გაქცევად“ შეაფასეს.

აქციაზე, ტრადიციულად, ბეჟა ვარდოსანიძემ „ლიბერალური დღის წესრიგის მქონე“ მედიასაშუალებები კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებით დეზინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა; სოსო მანჯავიძემ ძირითადი აქცენტები საპროტესტო აქციების მნიშვნელობაზე გააკეთა; ზვიად ტომარაძემ საპატრიარქოს ბუნდოვანი პოზიცია და მათთან შეხვედრაზე უარი გააკრიტიკა; ტომარაძემ აქციის მონაწილე საკურიერო კომპანიების „გლოვო“ და „ვოლტის“ კურიერებს მადლობა გადაუხადა.

პირველი რესპუბლიკის მოედანზე 60-მდე სამართალდამცავი და 9 საეკიპაჟო მანქანა იყო მობილიზებული. სამართალდამცავთა ერთი ნაწილი ფეხით, ხოლო მეორე ნაწილი საეკიპაჟო მანქანებით გაყვნენ მსვლელობას და პარალელურად საგზაო შეფერხებას არეგულირებდნენ. აქციის მონაწილეებმა, მათი რაოდენობიდან გამომდინარე, დროებით გადაკეტეს რუსთაველის გამზირი პარლამენტის შენობის წინ. პოლიციის თანამშრომლები ორგანიზატორებს გადაადგილების პროცესთან დაკავშირებით მითითებებს აძლევდნენ. საქართველოს პარლამენტის წინ რუსთაველის გამზირის გადაკეტვის მიუხედავად, საქართველოს საპატრიარქოს მიმდებარედ სამანქანო გზა არ ჩაკეტილა, ამასთან შემცირდა აქციის მონაწილეების რაოდენობაც.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებელთა შეფასებით, საქართველოს საპატრიარქოსთან სამართალდამცავთა უფრო დიდი რაოდენობა იყო მობილიზებული, ვიდრე პარლამენტის შენობასთან. საპატრიარქოს შენობასთან აქციის მონაწილეებს სამართალდამცავები და აქციის ორგანიზატორები კოორდინირებულად მოუწოდებდნენ, ფეხით სავალ ტერიტორიაზე განლაგებულიყვნენ.

---

<sup>26</sup> „საპატრიარქოსთვის მიუღებელია აქციის ამგვარი ფორმითა და ულტიმატუმით შეხვედრის მოთხოვნა“ - ანდრია ჯაღმაიძე, 2021 წლის 5 დეკემბერი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qGbwUw>

## 2021 წლის 7 დეკემბრის ანტივაქსერული აქცია

7 დეკემბერს აქცია ჯერ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან მიმდინარეობდა, სადაც ვაქცინაციის სავალდებულობის დაუშვებლად ცნობას, სხდომაზე მყოფ საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან და საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრას ითხოვდნენ; შემდეგ კი, ტელეკომპანია „პირველის“ შენობასთან გადაინაცვლეს და ტელევიზია მიკერძოებულ გაშუქებაში დაადანაშაულეს. ზვიად ტომარაძემ ტელეკომპანიისგან საჯარო ბოდიში მოითხოვა მათ შესახებ არასწორი ინტერპრეტაციით მომზადებული სიუჟეტების გამო.

აქციის შესახებ ინფორმაცია 2 დღით ადრე გავრცელდა სოციალური ქსელის ფეისბუქის საშუალებით, როგორც „ერი და სახელმწიფოს“ ლიდერების ზვიად ტომარაძის და ირაკლი აბაშიძის პირად ფეისბუქგვერდებზე, ასევე, ულტრამემარჯვენე აქტივისტის ბექა ვარდოსანიძის ბლოგზე.

აქციას დემონსტრანტთა მკვეთრად შემცირებული რაოდენობა ესწრებოდა და დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებელთა შეფასებით, 100-მდე ადამიანი თუ იქნებოდა. აქციის მსვლელობისას ტრანსპორტის სავალი ნაწილი არ გადაკეტილა.

ადმინისტრაციის შენობასთან საპატრულო პოლიციის 40-მდე წარმომადგენელი და 10-მდე სამართალდამცავი 6 სამანქანო ეკიპაჟით აკონტროლებდა მიმდებარე ქუჩებს. ტელეკომპანიის ტერიტორიასთან 50-მდე საპატრულო და კრიმინალური პოლიციის წარმომადგენელი იყო მობილიზებული. სამართალდამცავებმა დემონსტრანტებს ტელეკომპანიის შენობის კედლებზე სტიკერების გაკვრის საშუალება არ მისცეს. საპატრულო და კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლები ცოცხალი ჯაჭვით იცავდნენ როგორც კანცელარიის, ისე ტელეკომპანია პირველის შესასვლელს.

## 2021 წლის 12 დეკემბრის ანტივაქსერული აქცია

12 დეკემბრის შეკრების მთავარი მიზანი „მწვანე პასპორტების“ მოქმედების შეწყვეტა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისი საბჭოს გაუქმება იყო.

150-მდე დემონსტრანტი, პირველი რესპუბლიკის მოედნის ტერიტორიიდან მსვლელობით გაემართა რუსთაველის გამზირის გავლით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისკენ, სადაც მათი რიცხვი 350-მდე გაიზარდა.

აქციაზე გამომსვლელები საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ფარგლებში კოვიდ პანდემიის გავრცელების პრევენციისთვის საკოორდინაციო საბჭოს შექმნას, საბჭოს შემადგენლობაში ზვიად ტომარაძის ჩართვას და ამირან გამყრელიძისა და თენგიზ ცერცვაძის თანამდებობებიდან გადაყენებას ითხოვდნენ. აქციას შეუერთდნენ სხვადასხვა რესტორნებისა და ფიტნეს

კლუბების წარმომადგენლები, რომლებიც ბიზნესობიექტებისთვის დაწესებული კოვიდ რეგულაციების გაუქმებას ითხოვდნენ. შეკრების მონაწილეების და ორგანიზატორთა სრული უმრავლესობა ისევ არასწორად მოიხმარდა პირბადეს, დარღვეული იყო დისტანცია.

აქციის მონაწილეებს ეკავათ პოსტერები წარწერით „არა მწვანე პასპორტებს!“ ასევე, ქონდათ დიდი რაოდენობით მცირე ზომის პროკლამაციები წარწერით - „არა კოვიდ დიქტატურას,“ პოსტერები წარწერებით - „მწვანე პასპორტი საქართველოში ვერ იმუშავებს“ და „NO GREEN PASS.“

გამომსვლელები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეგულაციების საშიშროებაზე საუბრობდნენ. მათი განცხადებით, საქართველოს არ უნდა გაეზიარებინა დასავლეთის პრაქტიკა კოვიდ პანდემიის წინააღმდეგ, რეგულაციებისა და აკრძალვების შემოღების კუთხით. გარდა ამისა, ორგანიზატორებმა აქციის მონაწილეებს გააცნეს ინფორმაცია, რომ „ქართული ოცნების“ დეპუტატი ლადო კახაძე, არა მხოლოდ იზიარებდა მათ პოზიციას, არამედ მხარსაც უჭერდა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან აქციის ორგანიზატორებმა დაწვეს პოსტერი „მწვანე პასპორტის“ გამოსახულებით. სამართალდამცავები ამ პროცესში არ ჩარეულან.

ორგანიზატორები ინტენსიურად მოუწოდებდნენ აქციის მონაწილეებს, დამორჩილებოდნენ სამართალდამცავებს. ზვიად ტომარაძის ფამილარულ მიმართებებში პოლიციის თანამშრომლების მიმართ, შესამჩნევი იყო მხარეებს შორის არსებული პოზიტიური დამოკიდებულება. ზვიად ტომარაძე აცხადებდა, რომ პოლიციის თანამშრომლები მათ მხარს უჭერდნენ.

ტრანსპორტის სავალი ნაწილი გადაკეტილი არ იყო. პირველი რესპუბლიკის მოედანზე დაახლოებით 3 საპატრულო მანქანა და 30-მდე სამართალდამცავი იმყოფებოდა.

## 2021 წლის 26 დეკემბრის ანტივაქსერული აქცია

26 დეკემბრის აქციაზე აქციის ორგანიზატორები კვლავ „მწვანე პასპორტების“ გაუქმებასა და ლიბერალური მედიის მიერ კოვიდვირუსთან დაკავშირებით გავრცელებულ დეზინფორმაციას აპროტესტებდნენ. აქციის შესახებ ანონსი ფეისბუქის საშუალებით, ორგანიზატორთა პირად ფეისბუქგვერდებზე გავრცელდა. 200-მდე დემონსტრანტი პირველი რესპუბლიკის მოედნის ტერიტორიიდან, რუსთაველის გამზირის გავლით, მსვლელობით გაემართა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისკენ, სადაც მათი რიცხვი დაახლოებით 260-მდე გაიზარდა.

შეკრებაზე აქციის მონაწილეებს მცირე მოცულობის პროკლამაციების დიდი რაოდენობა დაურიგეს წარწერებით „არა კოვიდ დიქტატურას“. მონაწილეთა ნაწილი დასარტყამ ინსტრუმენტს იყენებდა, რომლებზეც ამირან გამყრელიძის და პაატა იმნაძის ფოტოსურათები იყო დაკრული.

ზვიად ტომარაძემ საკუთარ გამოსვლებში ისაუბრა კოვიდ რეგულაციების მძიმე გავლენაზე სარესტორნო ბიზნესზე. მან აქციის მონაწილეებთან დააანონსა მისი სატელევიზიო დებატები

ალერგოლოგ ბიძინა კულუმბეგოვთან. მისი განცხადებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო სივრცეში მისთვის დროის დათმობა სწორედ მათ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებს უკავშირდებოდა.

მონაწილეთა და ორგანიზატორთა სრული უმრავლესობა არ იცავდა გონივრულ დისტანციას, მათ უმეტესობას პირბადე ან არ ეკეთა, ან არასწორად ეკეთა.

აქციის მონაწილეებს ტრანსპორტის სავალი ნაწილი არ გადაუკეტავთ. პირველი რესპუბლიკის მოედანზე 6 საპატრულო მანქანა და 40-მდე სამართალდამცავი იყო მობილიზებული, ხოლო კანცელარიის წინ ცოცხალი ჯაჭვის პრინციპით 45-მდე პოლიციის თანამშრომელი. ტომარაძე აქციის მონაწილეებს მოუწოდებდა სამართალდამცავებს დამორჩილებოდნენ და მსვლელობის პროცესში სატრანსპორტო გზაზე პრობლემები არ შეექმნათ. კვლავ თვალსაჩინო იყო სამართალდამცავებსა და აქციის ორგანიზატორების შორის არსებული ურთიერთლოიალური დამოკიდებულება.

ორგანიზატორებმა ახალი წლის შემდეგ საპროტესტო აქციების გაგრძელება დააანონსეს, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლება კოვიდ რეგულაციებისა და მწვანე პასპორტებთან დაკავშირებით პოზიციას არ შეიცვლიდა.